

# ზინაური საქმეებზე

ჟოვალკვირული გაზეთი.



№ 20.

ოთხშაბათი, ივნისი 10, 1909 წ.

ფასი წლიურად — 4 მან.

ნახევარი წლით — 2 1/2 მან.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპიკით.  
 ადრისი: ქუთაისი „ზინური საქმეების“  
 რედაქცია.

ზინარსი: ქუთაისი 10 ივნისი; სწამთ თუ არა მეცნიერებს ღვთის არსებობა? (რუსულიდან)—ნაცარყანელი-  
 სა; რას ჩავდივართ (დასასრული)—ივერიელი; იროდიდა (გაგრძელება)—ა მაქსიმოძისა; ვაი ჩვენი ბრალი  
 (გაგრძელება) .მს-სა; ღვთის სასუფეველი—ე. ხ.—ძი-სა; კვირიდამ კვირობამდე.

## ჟოვალკვირული გაზეთი

### „ზინური საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუ-  
 თაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში  
 № 17) და საებარქიო საბჭოში—წლიური ფა-  
 სი 4 მან. ნახ. წლით 2 1/2 მან. ცალკე ნომერი  
 ღირს 10 კაპ. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად  
 ყოველგვარ განცხადებას.

დარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერ-  
 ლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კაპ.

ჟოთაისი 10 ივნისი.

როგორც ვაუიკეთ, თბილისში ერთი  
 მანდილოსნის თაოსნობით შედგებოდა სა-  
 ზოგადოება, რომელსაც აზრად დაუსახეს  
 სახარების შესწავლა. ჩვენ არ ვიცით, რა  
 განმრავლება აქეთ ან საზოგადოების მოთა-  
 ვებს და ან მის წევრებს, და ან რა წეა-  
 რებიდგან უნდათ ისარგებლონ ამ ფრი-  
 დ მხელ მიზნის მიხედვით. დროის მი-  
 ხედვით შეგვიძლია მხოლოდ ერთი მოსაზ-  
 რება ვამოთქვათ,—სახელდობრ ის, რომ  
 ახალი საზოგადოება არ მოკიდებდა სახარე-  
 ბას სულს, როგორც სამღვთო წიგნს, რო-  
 გორც სამღვთო განცხადებას, ღვთის მის

მიერ მოტანილს, როგორც მოძღვრებას,  
 რომელსაც მიზნად აქვს განსაკუთრებით  
 აღმძინის სულიერი ცხოვრება, რომლის  
 სწავლა „არა არს ამის სოფლისაგანი“,  
 არამედ როგორც უბრალო ფილოსოფი-  
 ურ სისტემას. თუ ეს ასეა, რომელიმე  
 მკონია, არ ვსცდებით, ტუილია შრომა,  
 ფუქება მცადინებობა და ამაოდ დარეარტე-  
 ბა დრო მის შესწავლასზე.

სახარების უმაღლესი სწავლაა ზნეო-  
 ბის სიფაქიზე, სულიერი და ხორციელი  
 სიწმინდე და თავგანწირული ქველმოქმე-  
 დება. ხოლო ამ სწავლას საფუძველი აქვს  
 ზირად მართლმსაჯულ ღვთის არსებობა-  
 ში. ღვთის გარეშე არა აქვს არავითარი  
 ნიდაგი არავითარ სიწმიდეს და ქველ-  
 მოქმედებას, იგი ვაუკებარია უამისოთ;  
 უამისოთ არ არის განჩევა კეთილსა და  
 ბოროტში, როგორც არ არის ასეთი გან-  
 ჩევა ცხოველებში, რომლებსაც კეთილად  
 უთუოდ ის მიანხიათ, რაც ზირად სა-  
 გებლობას აძლევს—და ბოროტად, რაც  
 ვნებს. უამისოთ სახარებას ქვარავს ნი-  
 დავს და იქცევა რაღაც ოცნებათ კეთილ-  
 ზე და ბოროტზე, რომლებიც ნამდვილად  
 არ არსებობენ.



სწორეთ ამ მხრით შესედა სახარებას ცნობილმა გრაფ ტოლსტოიმ: მან უარჱყო პრინციპიალურად სახარება, როგორც სამღვთო განცხადება, რითაც დაუკარგა მას ათულებითი ძალა, და დაიფანტა კეთილისა და ბოროტის მიებაში. მისი არა წინააღმდეგობა ბოროტებისა“ არის რაღაც ძველი ბერძნების სტოიკური ეურმოთქლილობა, რომელსაც ვერაფრით ვერ ამართლებს; ვერ არკვევს, თუ რისი გულისთვის უნდა დაუთმინოთ და ვუყუროთ ბოროტებს? რატომ არ უნდა იქნეს გამყფებული ძლიერთა უფლება? რათ უნდა ადგეს ადამიანი დათმობის გზას? რით სჯობია მიმცემი გამომწმედეს?

ასე უძაღურად და უფერულად ჩაიარა გრაფის თავისებურად სახარების შესწავლა. მისი მედიდური თანამედროვე განამარტავებული ადამიანური ჰგუა ვერ შეურიგდა ქრისტეს თანამედროვეთა მოთხრობას მის (ქრისტეს) სწავლა-მოდერებაზე. იგი არ დაეპოფილდა სახარების იმ განმარტებით, რომელიც დაგვიტოვეს მსოფლიო მოძღვრება, სამღვთო წერილის ზედმიწევნით მცოდნე პირებმა, როგორიც იყვნენ: ვასილი დიდი, გრიგორი დვთისმეტყველი და იოანე აქროპირი. და აი სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ნამდვილი სახარების შესწავლის მაგიერ, გრაფმა შექმნა თავისი სახარება, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს იმ ოთხ სახარებასთან, რომლის შესწავლას ღიაობის დღეს ახლად შეძღვარი საზოგადოება პატრივცემულ მანდილოსნის ხელმძღვანელობით.

შეიძლება ჩვენ ჰავრში ვსცემდეთ ჩვენი წერილით და ახალი საზოგადოება კი სახარებას უყურებდეს და სწავლობდეს,

როგორც საღვთო განცხადებას. მაშინ ბოდიშს ვისდით და მიუღოცაფთ სარწმუნოების ინტერესების კავშირებას საქართველოს და განსაკუთრებით ქართველ ინტელიგენციას, რომლის წარმომადგენელი უთუოდ შეადგენენ ახალ სარწმუნოებრივ საზოგადოების გულის. ამასთან ვურჩევთ: საზოგადოება ნუ დაენდობა მარტო თავის ჰგუას, არამედ მიხედოს წმ. მამებსაც, რომლებმაც აურაცხელი წიგნები დაგვიტოვეს შესახებ სახარებისა. უამისოთ მოსალოდნელია, რომ ახალი საზოგადოებაც მსგავსად გრაფისა გაჩუქებს ახალ სახარებას, რომელიც, ბევრად ნაკლები თუ არა, ბევრად უკეთესი მაინც არ იქნება გრაფის სახარებაზე, რომელმაც თავისი დროზე ასეთი განგაში ასტესა და რომელმაც ასე ძალე მოსძებნა საუკუნო განსასვენებელი არსებში არხეოლოგიურ ნაშთთა შორის.



**სწამთ თუ არა მცენიერებს ღვთის არსებობა?**

(რუსულიდან).

„მცენიერება, თუ მას შეეხებთ მხოლოდ ტუჩებით, გვაშორებს ღვთისაგან; მაგრამ, თუ შევსებით იგი დიდრონი ყლუბებით, გვაავლოვებს ღმერთთან.“

ბეკონ ვერულამელი.

საკითხი ღვთის არსებობის შესახებ არის ერთი „სამარადისო“ საკითხთაგანი კაცობრიობის ისტორიაში. ქვეყნიურ ყველა არსებთაგან მხოლოდ კაცს სურს იცხოვროს. მაგრამ უბრალოდ კი არა, რომ მხოლოდ „იარსებოს“, არამედ სურს იცხოვროს თავისი ცხოვრების აზრის და მოქმედების მიზნის შეგნებით. ამისგან არის, რომ თვითეული სკდილობს ყოველთვის შექმნას თავისი ცხოვრებისთვის მიზნის შეწყობილი საფუძვლები. ამიტომ საკით-

ბი ღვთის შესახებ ყოველთვის აღელვებს იმ კაცთა აზრებს, რომელთაც არა სურთ მხეცე-ბივით ცხოვრება, არამედ სურთ შეიგნონ გონიერი აზრი თავისი არსებობისა. კაცი ბუნებრივად პირდაპირ თავის შივე სცნობს მკიდრო კავშირს ღმერთთან: მისგან დამოკიდებულობას და ურთიერთობას მასთან. ამითი აიხსნება ლტოლვილება კაცის სულისა ღვთისადმი, რომელიც ცხადად ეჩნევა კაცობრიობის ისტორიას. მაგრამ ეს ლტოლვილება, მიქცევა ღვთისადმი ერთნაირად არის ჩანერგული, როგორც ველურის, ისრე ფილოსოფოსის, სწავლულის და განათლებული კაცის გულში. უღმერთოდ კაცი მარტოა ქვეყანაზე და ამ მარტოობაზე უმძიმესი არა არის რა.

ჩვენს დროში სოციალიზმის მოძღვრები (ენგელსი, პრუდონი, ბებელი, ლასალი, მარქსი, ბაქსი) ჰკვლენ რა მათ მიმდევართა გულში ყოველსავე რწმენას და წმიდა სასოებას მომავალი ცხოვრებისას, აღარც ღვთის დიდ სახელს ზოგვენ. აგროვებენ და აიარალებენ ახალ გაზღობის მთელს ჯარს საბრძოლველად არა მარტო ქვეყნიური სიკეთისა და უფლებებისათვის, არამედ საბრძოლველად წინააღმდეგ სარწმუნოებისა; გამართულია, კადნიერი ბრძოლა თვით ღვთის წინააღმდეგაც. ქმნილება ამხედრებულა შემოქმედის წინააღმდეგ. სოციალური ჯარის თვითეულ მეომარს ეძლევა შემდეგი ბრძანება: „იყავ მტერი ყოველივე სარწმუნოებისა, რადგანაც ღმერთი არის ბოროტება“. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ბებელმა გერმანიის რეისხტაგში განაცხადა: „ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ყოველივე ზეციური ავტორიტეტებისა; ცა ანგელოზებისა და ჩიტებისთვის დაგვითმია“. სოც. შტეინბახმა გამბურგის კრებაზე კადნიერად წამოიძახა: „ჩვენ არავითარი ღმერთი არა გვრწამს“; ლიბკნეხტმა კი გულახდილად განაცხადა: „ჩვენი მოვალეობაა: თავგანწირულად ვეცადოთ, აღმოვიფხვრათ სარწმუნოება და მხოლოდ ის არის ღირსი სოციალისტის სახელისა, ვინც თვითონ ურწმუნოა და გულმოდგინედ ხელს უწყობს ურწმუნოების გავრცელებას“.

ამ რიგად, გამოლაშქრება აშკარია და

ყველასთვის ცხადია სურვილი—წაართვან კაცობრიობას ღმერთი. რომ უფრო ძლიერ იმოქმედონ მიმდევართა და ნამეტნავად კი ახალგაზრდობის აზრებზე და სვინიდისზე, კაცთა ცხოვრების ახალი გეგმის შემადგენელი იხმარებენ მეცნიერებას—ამ უცთომელს ავტორიტეტს და წინაღვე განზრახულ აზრით შედგენილი „ღიღი იღვები“ გამოაქეთ ბაზარში ვითომ და მეცნიერების ბაიხალ ქვეშ. ამავე ხერხს ხმარობენ ღვთის სახელის აღმოსახოცად კაცის სულიდან. აწინდელი ცხოვრება გვაჩვენებს, როგორ ადვილად იკიდებენ ფხს ეს აზრები ახალგაზრდობის გულსა და ტვინში. ახალგაზრდობას სწამს „უცთომელობა“ ათვის ხელმძღვანელთა, რომლებიც თავის ბოდვას ურცხვად მეცნიერების სახელით ავრცელებენ. ახალ მქადაგებლებს სურთ გამოსწოვონ კაცის სულიდან სარწმუნოება, მათი სიტყვით, ესლა თვითმეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ღმერთი არ არსებობს, რომ სარწმუნოება აფერხებს კაცობრიობის წინსვლას, რომ ღმერთი არის ბოროტება, რომ პარიზის სალონებში თავყვანს ღმერთს კი არა სცემენ, არამედ ეშმაკს, რომ „შვეს წირვებზე“ აღიდებენ ცოდვას, უსჯულოებას“ და სხ. ამ გვარი აზრები ბევრს თავბრუს ასხამენ, სული „ამბობებს“ ყოველგვარ რწმენისა და ეკლესიურ დადგენილებათა წინააღმდეგ. ყველა ეს მოვლენა თვითეულმა კარგად იცის.

ამ სტრიქონებით ჩვენ გვსურს ვაჩვენოთ, მართლა განდევნა თუ არა მეცნიერებამ ღმერთი ქვეყნიდან და სამართლიმნია თუ არა მსჯელობა მრავალ ურწმუნო პირთა, რომლებიც ჰკიცხავენ ჩვენს სარწმუნოებას, ურწმუნო პირთა, რომლებიც ყურმახვილად უსმენენ მხოლოდ თავიანთ დასავლეთელ მოძღვრებს ცნობილი კლასისას და ამიტომ ჩვენს ნიადაგზე სთესვენ მხოლოდ ღვარძლს და წმიდა ხორბლის შესახებ კი სდუმან,—რომლებიც გვასაზრდოებენ ჩვენ დამპალი ნაყოფით, რომლისგანაც ჩნდება უხლანდელი მოარული სენი.

მეცნიერების ღრმად შესწავლას რომ ღვთის უარყოფამდე მივყავდეთ, მაშინ მეცნიერების უმადლესი და საუკეთესო წარმომადგენლები, ეს სვეტები კაცობრიობის ცოდნი-

სა სულ თავზე ხელადებული ათეისტები იქნებოდნენ, მაგრამ ნამდვილად კი ჩვენ სულ სხვის ვხედავთ. უდიდესი სწავლულნი კი არ უარყოფენ ღმერთს, არამედ სცნობენ მას წინააღმდეგ ჩვენი მატურ მოძღვრებისა; და გენიოს და სწავლულ კაცთა შორის გამეფებულია უმეტესად სარწმუნოება, ვიდრე ურწმუნობა.

არ არის მას შემდეგ დიდა ხანი, როცა დოქტორმა პილლისმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა საყოველთაო გაღვიძება სარწმუნოებრივ მოთხოვნებთან ინგლისის საზოგადოების ყველა წრეებში. ასე, პილლისის სიტყვით, „აღიძრა განახლებული ინტერესი საღვთისმეტყველო მეცნიერებისადმი; სკეპტიციზმი ადგილს უთმობს პიროვანი ღვთის და მამის რწმენას. ჯონ ფიქსი სწერს თხუთმეულს „ღვთის იდეების შესახებ“, ხოლო უკანასკნელი მისი ტრაქტატი „ბუნებისგან ღვთისაკენ“ ამტკიცებს იმას, რომ უკვდავება არას უკანასკნელი მიზანი, რომელსაც ემსახურება მთელი პროცესი ევოლიუციისა; აგრეთვე პრეზიდენტი „ბრიტანიის სამეცნიერო გამოკვლევათა ხელშემწყობ ასოციაციისა“ აცხადებს, რომ ყოველივე საევოლიუციო თეორია უთუოდ უნდა გულისხმობდეს ღმერთს, ურომლოდაც ის ხდება უნიადაგო და გაუგებარი. ამ დიდი სამეცნიერო საზოგადოების ერთერთს განყოფილებაში ყოველი სხდომა ლოცვით იწყება. პილლისის სიტყვით, „უეჭველია ის ფაქტი, რომ ათეიზმი სავესებით გაკოტრდა. მეცნიერთა შორის ცხადად ემჩნევა მიდრეკილება სარწმუნოებისადმი“. ჩვენში კი, რუსეთში სკდილობენ თავი გამოიჩინონ ურწმუნოებით, ვითომც და თანამედროვე მეცნიერების სასიამოვნებლად.

დიდ სწავლულთა ნაწარმოებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ მეცნიერების მნათობნი არაოდეს არ ყოფილან მატერიალიზმის მომხრენი, წინააღმდეგ აწინდელ ხელმძღვანელთა შეხედულობისა, არამედ ებრძოდნენ მას და სცნობდნენ აზრის არა სისრულის შედეგად და შეტოვნილებად.

მაგალითად, იაკობი შესახებ მეცნიერე-

ბისა ამბობდა, რომ მისი უმაღლესი და ქვეშეორი მიზანია მოძიება ღვთისა და არა დაკარგვა მისი. უღვთოდ ბუნება არის არა სრული, უგულო, უნებო გამოურკვეველობა. როგორც კაცის სახე მშვენიერია მხოლოდ მითი, რომ ის გაცხოველებულია სულით, აგრეთვე ქვეყანაც მშვენიერია მხოლოდ მითი, რომ მაში ვხედავთ და ვგრძნობთ ღმერთსა.“ ცნობილი მათემატიკოსი და ბუნების მეტყველი ამპერი, შემქნელი ახალი მეცნიერებისა, ელექტროდინამიკისა ურჩევს თავის მეგობარ ყმაწვილს სწავლულს: „ეიღე მხოლოდ მეცნიერების შესწავლას, როგორც შენ უწინ შერებოდი. ისწავლე, გამოიკვლიე ქვეყნიური: ეს ვალდებულებაა მეცნიერისა; მაგრამ ხილულ ქვეყანას უმზირე მხოლოდ ერთი თვლით, შეორე კი მიპქიე საუკუნო ნათლისაკენ; ერთი ხელით გამოიკვლიე ბუნება, ხოლო მეორეთი, როგორც ბავშვი მამის კალთას, მოეჭიდე ღვთის სამოსელს“? ამპერი ერთგული კათოლიკე იყო და თომა კემფელის წიგნი „მიბაძეა ქრისტესი“ ზეპირად იცოდა.

დიდმა სწავლულმა ლინნეიმ, როცა დაასრულა შრომა, რომელიც ეხება მეცნიერებულობის აგებულებას დალაპყა: „სამარადისომ, უსაზღვრომ, ყოველის მკოდნე და ყოველის შემძლე ღმერთმა განვლო ჩემს ახლო! მართალია, პირისპირ არ მიხილავს იგი, მაგრამ მისმა ღვთაებრივმა შუქმა გამოუთქმელი განკვირვებით აღავსო ჩემი სული. მე აქაც და იქაც შევნიშნე მისი კვალი მის ქმნილებაში. რა ნაირი ძალა, სიბრძნე და სისრულეა ყოველ მის მოქმედებაში, სულ მცირე და შეუშინველებშიც კი! ამ რიგად, სამართლიანია, გვწამდეს რომ არის ღმერთი დიდი, საუკუნო, დაუბადებელი, ურომლოდაც არაფერს არ შეუძლიან არსებობა, რომელმაც შექმნა ეს დიდი საქმე და დაამყარა მაში წესიერება“.

ცნობილი კვპლერი თავის დიდ შრომას ქვეყნის ჰარმონიისას ათავებს არა ღვთის უარყოფით, როგორც ამას ჩადის ჩვენი თანამედროვე ნახევარგანათლებულობა, რომელიც ზერელედ იცნობს მეცნიერებას, არამედ ჰიმნით შემოქმედისადმი; „ჰოი შენ, რო-

მელმაც ბუნების ნათლით გააღვიძე ჩვენში სურვილი შენი მოწყალების ნათლისა, რათა გვიწვევო ჩვენ ნათელი შენი სიპართლისა, გმადლობ შენ, ღმერთო, რომ ნებას მადლვე განვიკვირო და შევიყვარო საქმენი შენი; თუ მე უნდო მდილმა შენ წინაშე, ცოდვებში დაბადებულმა წარმოვთქვი რაიმე საწინააღმდეგო შენ კეთილგანზრახულებათა, სული წმიდის მადლმა შემაგონოს მე ეს, რომ შეეძლო მისი გასწორება. ინებე, ღმერთო, რომ ყოველი ჩემი ნაწარმოები იყოს სადიდებლად შენდა და კაცთა სასიკეთოდ. ზეცის ჰარმონიავ, აღიდე უფალი, და თქვენც, რომლებიც მისწვდით ამ ჰარმონიას, აქეთ იგი“. აი სიმდაბლე ქეშმარიტი მეცნიერისა, მიუხედავად მის ყველა დიდ შრომათა! როგორ არა ჰგვანან მისი აზრები თანამედროვე ცოდვილი ქვეყნის ყვირილს!

გაკისხნოთ მხოლოდ მოკლე ნაწყვეტები „ახალი სიმღერებისა“: „ილოცეთ, მონებო, სულით მშიშრებო, წინაშე ყრუ ღვთაებისა გულუბრყვილო რწმენით; ჩვენ კი, ახალი დროის შვილებო, ჩვენს სიამაყეს არ შეგუბრავთ ვიყუფოთ არაოდეს სასირცხვილო ლოცვით.“ ან კიდევ: „მე არ მივმართავ ზეცას არ დაღვრი ცრემლებს და არ ვილოცავ ერთად სულმოკლეებთან“.

ცნობილია, რომ ნ ი უ ტ ო ნ ი ქუდმოუხდელად არ ასხენებდა ღვთის სახელს. მისი სიტყვით, რაც უფრო ღრმად სჭერტს კაცი ბუნების საიდუმლოებს, მით უცხადესი ხდება მისთვის ერთიანობა წინა საუკუნეთა გეგმისა“. მის დიდ აღმოჩენათა შედეგი ცხადად გამოთქმულია მის საფლავზე შესანიშნი წარწერით: „თავისი ფილოსოფიით ის აღიღებდა ყოვლის შემძლე ღვთის დიდებას და თავისი ცხოვრებით წარმოადგენდა სახარების სიმარტივეს“. ნეტავი რას ეტყოდა ეს გენიოსი მეცნიერების ეხლანდელ გენიოსად მიჩნეულებს, რომლებიც ჩადიან უმსგავსობას (როგორც შედეგს მათგან ყოვლის უარყოფისას ვითომცდა მეცნიერების სახელით) არა მარტო ქუჩებზე, არამედ ტაძრებშიც, — რომ დაენახა ეს ველური სკენები?

დიდი ბოტანიკი გეგერი, რომლის სწავლუ-

ლობითაც ილტაცებულნი იყვნენ დარვინი და ლიაელლი, სწერს: „რაც უფრო უმეტესად ვგებულობთ ჩვენ ბუნების ცხოვრებას, მით უმეტესად ვრწმუნდებით, რომ მხოლოდ სარწმუნოება ყოვლად შემძლე და ყოვლად ბრძენი კია და ქვეყნის გამჩენისა, რომელმაც საუკუნეთაგან დაამყარა წესიერება ხსნის გამოცანას ბუნებისა და კაცის არსებობისას. ჩვენ ღმერთს გვაუწყებს არა მარტო გული კაცისა, არამედ ბუნებაც, როცა ჩვენ ვუმზერთ ჩვენს დედამიწას, მის ცხოველებს და მცენარეულობას.“ ღვთის ყველა უარყოფილებს ამ დიდმა მეცნიერმა უთხრა: „ვინც ზერელედ იკვლევს ქვეყნაერობას, ის ადვილად იკარგება უსაღვრო „ყველაში“, ხოლო ვინც უფრო ღრმად ისმენს მის სასწაულებს, იგი მუდამ უახლოვდება ღმერთს, ქვეყნის მეუფეს. მხოლოდ ის აზრი, რომ ღმერთი სიყვარულით თანაზიარ ექმნება თავის ქმნილებას და სწყალობს მას ათბობს და ამშვიდებს ჩვენს გულს.“

ყველაგან ცნობილი ბუნებისმეტყველი უარადე (მარტო ჩამოთვლა მის აღმოჩენათა ფიზიკაში დაიქვრს მთელს გვერდს) დაკვირვებითი ცოდნის დიდ მეცნიერებასთან იერთებდა ღრმა მორწმუნეობას. მის წარმატებასთან ფიზიკაში იზრდებოდა მისი განცვიფრება ღვთის სიბრძნის წინაშე. იგი იყო ძალიან ერთგული მრევლთაგანი, ხშირად თვითონ ჰქადაგებდა და არაოდეს არ დამჯდარა პურის საქმელად, ლოცვა რომ არ წაეკითხა.

ღრმად საგულისხმოა შესანიშნი ასტრონომის გეგერის სიტყვები: „რაც უფრო ფეხს იკიდებს მეცნიერება, მით უმეტესად დღითი დღე ჩნდება მომეტებული საბუნო დაუსრულებელი ცხოვრებისა, შემოქმედის არსებობისა და მისი ყოვლის შემძლე ძლიერებისა. გეოლოგიას, ასტრონომიას, მათემატიკას, ბუნების მეტყველების ისტორიას — ყველა ამით მოაქვთ თითო ქვა, რომ აგვოს საერთო ტაძარი მეცნიერებისა საქებლად და სადიდებლად შემოქმედისა ჩვენისა ღვთისა“. ჩვენ კი ჩაგვიჩიჩინებენ, რომ მეცნიერებამ უნდა მძლე სულ განდევნოს ღვთის სახელი კაცის გულიდან და

დაარღვიოს ყველა ტაძრები, საცა იღიდება ღვთის სახელი!

განსვენებული სწავლული ბუნებისმეტყვე-  
ლი სევერცოვი აღიარებს, რომ მეცნი-  
ერებას მისგან არ დაუშორებია ცა, არამედ  
დაუახლოვა მას იგი, რადგანაც მსოფლიოს  
შესწავლამ განამტკიცა მის გულში აზრი ღვთის  
არსებობაზე.

კარლ ფოხტი თავის წიგნში: „ისტო-  
რია ქვეყნის შექმნისა“ ამბობს: „როგორ დია-  
დია და როგორ მარტივია მთელი ეს პროცე-  
სი! მხოლოდ ღვთაებას შეეძლო მისი მოფიქ-  
რება და აღსრულება. კაცს კი შეუძლიან მხო-  
ლოდ იფიქროს და გამოიკვლიოს და ამითი  
ეუახლოვდებით ჩვენ ჩვენს მამას“.

ცნობილი ინგლისელი მეცნიერი და ღრმა  
მოაზრე ბეკონი, მამა გამოცდილებითი მეც-  
ნიერებისა ამბობს: „მიზანი ნამდვილი ფილო-  
სოფიისა და მეცნიერებისა იმაში უნდა მდგომარე-  
ობდეს, რომ კაცობრიობა მივიდეს შემოქმე-  
დის უსრულეს ცნობამდე და ამისთვის საუკე-  
თესო საშუალება შემდგომ საღეთო წერილისა,  
არის დაკვირვებითი შესწავლა ქვეყნისა“.

ბლეზ პასკალმა მათემატიკის ზედმი-  
წევნით მკოდნემ და ფრანციის ლიტერატურის  
ოქროს ხანის ბრწყინვალე მწერალმა, დასტოვა  
თავის pensees-ში—მასალა დასაცველად ქრი-  
სტიანობისა, რომელსაც ის სთვლიდა თავის  
სიცოცხლეში საუკეთესო ნაშრომად და რო-  
მელშიც იგი სწერს: „უეჭველია არ არის კე-  
თილი ღვთის უცნობლად; რამდენადაც ჩვენ  
მას ეუახლოვდებით, იმდენად ბედნიერნი ვართ,  
რომ უმაღლესი ბედნიერება მდგომარეობს მის  
ცნობაში დარწმუნებით. დიდი გეოლოგი ჩ.  
ლიაიელი, განსაკუთრებით პატივცემული  
დარჟინისტებისგან, თავის შრომაში: „საფუ-  
ძველნი გეოლოგიისა“ სწერს: „საითყენაც უნ-  
და მივმართოთ ჩვენი გამოკვლევა, ჩვენ ყო-  
ველგან ეპოვებთ შემოქმებითი გონებას—ღვთის  
წინდახედულობის, ძლიერების და სიბრძნის  
საბუთებს“.

ცნობილი ექიმი, პროფესორი, კლინი-  
ცისტი, დოსტაქრობის შემქნელი პიროგოვი  
თავის დღიურში: „ცხოვრების საკითხები“

სცნობს, რომ რწმენა უმაღლესი არსებისა,  
როგორც სიცოცხლისა, მსოფლიო გონებისა  
არ ეწინააღმდეგება მეცნიერებას\*. მსოფლიო  
მას წარმოდგენილი აქვს გონიერად, მისი ძა-  
ლების მოქმედება აზრიანად და მიზნის დაგვა-  
რად, კაცის „მე“ საყოველთაო გონების სახედ  
და არა ქიმიურ და გისტოლოგიურ ელემენ-  
ტთა და საყოფ რამედ.

ა. სეკკი სწერს: „ორგანიზმი, როგორც  
უნდა იყოს იგი არის საქმე წინასაუკუნეთა ხუ-  
როთ მოძღვრისა და ის, რასაც ჩვენ ბუნებად  
ეუწოდებთ, არი ხელოვნება უმაღლესი შემო-  
ქმედისა. მან მისცა ფორმა მოწყობილს მა-  
ტერიას, მგავსად იმისა, როგორც აღმოუწო-  
და არსებისა და მოძრაობისათვის ტლანქ მა-  
ტერიას. ამ საფუძვლის გამორიცხვა, რა მიზე-  
თაც უნდა იყოს, ნიშნავს ცხად მოვლენათა  
ახსნის გზის დახშვას. ეს იქამდე სამართლიანია,  
რომ ისინი, რომლებიც სცდილობენ ყველაფ-  
რის ახსნას მატერიით, იძულებული არიან მი-  
აწერონ მას ძალა და სამოქმედო თვისებანი; მა-  
გრამ მათ ავიწყდებათ, რომ ეს ძალები ცხა-  
დად ეწინააღმდეგებიან ინერციას. ყოველ შემ-  
თხვევაში უკანასკნელი რგოლი ამ საკვირველ  
არსებათა ჯაჭვისა ყოველთვის განუწყვეტლად  
შეკავშირებული იქნება ღვთაების ცნებასთან  
და არის ჩვენთვის შესანიშნი აღლეგორია  
ჰომიროსისა“.

ასტრონომის ვატსონის სიტყვით „შეს-  
წავლა ვარსკვლავებით მოქედლია ცის საკვირ-  
ველი მექანიზმისა აღძრავს და ამტკიცებს ჩვენ-  
ში განცვიფრებას ყოველის შემძლე და ცხო-  
ველი ღვთის სისრულისადმი“.

მალებრან ში ამბობს: „ღმერთი არის  
დასაბამი ყველა ჩვენი წარმოდგენისა და ნების-  
სა კაცის გონებაში. იგივე არის ერთად ერთი  
მიზეზი ყველა გრძობითი სიყვარულის მოძრაო-  
ბისა“.

ცნობილი აგასსი იმ ღრმა დასკვნამდე მი-  
ვიდა, რომ სიტყვა „ორგანიული ქვეყნის სახეთა და  
ნათესაეთა დამოკიდებულება გვიჩვენებს, ღვთის  
ბრძნული და ყოველის შემძლე ნების თავისუ-  
ფალს აქტსო.“

ლოკკი ღვთის არსებობას იმ მოსაზრე-

ბით ამტკიცებს, რომ ქვეყანას ხომ უნდა ჰყვანდეს შემოქმედი, რადგანაც არაფრიდან არაფერი არ გაკეთდება, ყოველსავე კაცს უნდა ჰქონდეს თავისი მიზეზი. მეჩვიდმეტე საუკუნის ბევრი ცნობილი ბუნების მეტყველი ამბობდა ამ გვარად.

ნაცარყანელი.

(შემდეგი იქნება)



**რ ა ს ნ ა ვ დ ი ვ ა რ თ ?**

(დასასრული\*).



**II.**

Давайте народу обще человеческое, и смотрите, что онъ способенъ принять. чего не достаетъ ему? Вотъ это угадайте!  
*Станкевичъ.*

Мы не должны составлять себѣ сужденія ни о какомъ предметѣ, котораго мы не понимаемъ со всею ясностью и отчетливостью.

*Вокль.*

თანამედროვე სამღვდლოების აკადრგანობა

რაც ებატეება ქართველ ინტელიგენციას საზოგადოთ ის არ ებატეება მის სამღვდლოებს, მიტომ რომ სამღვდლოებს შედარებით მეტი შეუძლია გააკეთოს. იგი მუშაობს საკუთარ მამულს, მსახურებს მრევლში, რომელიც სასყიდელს აძლევს მსახურებისათვის. აქედან მას შეუძლია თითო თუმანი ყოველწლოებით მოახმაროს საზოგადო საქმეებს თუ კი ისურვებს ამას. მას ძლიერ ადვილად შეუძლია შეჰკრას კავშირი, შექმნას ძლიერი თანხა, რომლის მიზანი უნდა იყოს ქართველი ერის, მისი ეკლესიის მსახურება და კეთილდღეობა. ვამბობ საქმეს ვიწყებთ, მაგრამ ვერ ვასრულებთ; და ვერ მოგვყავს სისრულეში იმ მიზეზით რომ ფული არ გვაქვს. თუ ამ წყაროს გამოსძებნის სამღვდლოება, რომელიც მას

\* იხ. „ზინ. საქმ.“ № 17

ძლიერ ადვილად შეუძლია, მაშინ ყოველივეს შესძლებს და არავისაც არ ექნება მიზეზი უმართებულოდ ახსენოს მისი სახელი. მართალია, სამღვდლოება ძლიერ დატვირთულია შეიღების აღზრდით, რაც რასაკვირველია ქვეყნის სასახურია, მაგრამ მრავალის მოთმინებით მაინც შეუძლია შეჰკრას კავშირი და შექმნას თანხა რამოდენიმე ათასის მანათის და ამნაირად ემსახუროს თავის ერს. საკუთარი ორგანოს და სტამბის უქონელობა არ ეკადრება ამ მოწინავე წოდებას, მით უმეტეს რომ, როგორც დაგვანახვა გარემოებამ, სამღვდლოთა შორის ყოფილან განათლებულნი პირნი, დიდი ნიჭის პატრონი, რომელთაც ხალისიც აქვთ ბრძოლისა წინააღმდეგ უკუღმართად მოაზრეთა, და კიდევაც შეუძლიათ. და აბა ვის შეუძლია, თუ სამღვდლოებებს არა, თუ კი მოინდომებს ამას! სამღვდლოების უკანასკნელი კრებები, და უმეტესად გურია-სამეგრელოსი, მისათითებელია ამ მხრით. მხოლოდ საჭიროა სიტყვა საქმედ აქციონ, მეტი ენერჯია გამოიჩინონ საქმიანობისა და საქმეც გაკეთდება. ამ მიზნის მისაღწევად სამღვდლოებას შეუძლია ჟურნალურის დადგენილებით ვალდებულად გახადოს ყოველი კრებული ხაზინის ჯამაგირიდგან ყოველწლობით ახდევინოს საერთო თანხის გასაძლიერებლად თითო თუმანი მაინც. აბა იფიქრეთ რამოდენი ათასი შესდგება წელიწადში მთელი ივერიის ეკლესიის სამღვდლოებისგან?! ამ თანხით და კეთილის მოქმედებით სამღვდლოება ხომ მარტივი იქნება სამწყსოსათვის, რომელი დანიშნულება თვით მაცხოვრისგან აქვს მას ნაანდერძევი?

სამღვდლოებამ რომ იფიქროს ძველი, მამაპაპური გზით სიარული ღღეფანდელ გარემოებაში, საშინელ ხრამში გადავარდება და დაიშხვრევა; ძველ სამღვდლოებას ჰქონდა ისეთი თვისებები, რომელიც აუცილებელია ახალი სამღვდლოებისათვის და გამოსადეგი ცხოვრებაში. ჩვენ მოგახსენებთ იმ ზნეობრივ გავლენაზე, რომელიც ძველ სამღვდლოებას ჰქონდა, ხალხზე, იმ დაახლოვებაზე სამწყსოსთან, რომელიც შეადგენდა მის შვენებას. ონორე მოძღვარი თავის უურშათი ბევრს იყრია-

ფერს გააკეთებდა დღევანდელ გარემოებაში, სამაგიეროთ თავის დროზე დიდი ზნეობრივი გავლენა ჰქონდა მთიულეებზე. იგი იყო დაყოფილი ბურსაქირის გამოქვაბულში, მაგრამ ცხოვრების მიზნად მაინც ერის სამსახური ჰქონდა დასახული. მაყვალას შავი ბედი და უნუგეშო მდგომარეობა თავის უბედურებად მიჩნდა; ონისეს სასოწარკვეთილება ძლიერ აღელვებდა მას, სულს უწუხებდა; არ ასვენებდა და ცდილობდა დაემშვიდებია, ენუგეშებია იგი და დაეყენებია უკეთეს გზაზე. ყველაფერი, რაც კი გააჩნდა მას ერისათვის ჰქონდა გამზადებული და ქრისტეს სიყვარულით და მ. ლალი ზნეობით აღსავსე, აკი ეწაშა ერისათვის!!

ონოფრე მოძღვარი, ჩვენის აზრით, ნამდვილი პირია ცხოვრებიდან ამოღებული. იგი არ არის ა. ყაზბევისაგან მოგონილი და იდეალად დახატული. ასეთი მოძღვარნი, რომელნიც ერის ცხოვრებით ცხოვრებდნენ და მისის სუნთქვით სუნთქავდნენ, შესაძლებელი იყო ყოფილიყვნენ და შეიძლება დღესაც იპოვებოდნენ. მათი მალაღი ზნეობა და ერისადმი სიყვარულით აღსავსე გრძობანი ფრიად საჭირო და ხელსაყრელია ახლანდელ მოძღვართათვის.

ონოფრე მოძღვარის ნაკლულევენებას შეაფასებს ქავჭავაძის მიერ წამოყენებული გაბრიელ მღვდელი, რომელიც იმავ თავგანწირულებით ემსახურება ხალხს; მისთვის არ იშურებს არაფერს, წყალშიც კი შესცურავს, ოღონდაც იპატივოს განსაცდელში მყოფი წყალწაღებული მოწაფე ონოფრე. იყო მდაბიო მკადაგებელი და თავის ცხოვრებით ცხოველი მაგალითის მაჩვენებელი; გაბრიელ მღვდელი კი ყოველივე ამასთან იყო ნამდვილი მასწავლებელი ერისა, იგი ურჩევს მრევლს ცოდნის შეძენას და უხსნის სწავლის მნიშვნელობას მშვენიერ დიალოგებით.

გაბრიელ მღვდელს, თუ არ ესკდებით ვერ ვხედავთ ცხოვრებაში, რეალურად ისინი არ არსებობენ და ქავჭავაძემ თუ დახატა ტიპი ასეთის მღვდლისა, ეს ამიტომ რომ მას სურდა ასეთი მღვდლები გამრავლებულიყვნენ ჩვენ სამშობლოში, ჩვენც ეს დაგვრჩენია ნატურად და მიუუთითებთ ქართველს სამღვდლოებას

ასეთს მღვდლებზე; ხოლო თუ მეტის ღირსებით და პატიოსნებით შეამკობენ ასეთ ტიპებს და გამოიყვანენ ცხოვრებაში ეს მეტი სახელი და ღვაწლი იქნება სამღვდლოებისა.

დაკვირვებული მეთვალყურისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენს სამღვდლოებას არ აქვს ის ღირსება, რომელიც აქვდა ონოფრე მოძღვარს და გაბრიელ მღვდელს. ესენი სულ ხალხში ცხოვრობდნენ, ყოველ მის მაჯის ცემას ყურს უგდებდნენ; მისი სიცილით იცინოდნენ და მისი ტირილით ტიროდნენ. მათ არ შეეძლოთ უხალხოთ ცხოვრება, უნისოთ ჰერის სუნთქვა და ეს იყო იმის მიზეზი, რომ ორივე მოძღვარი უღრმესი სიყვარულით უყვარდა ხალხს და პატივს სცემდა ყოველს მათ მოქმედებას მათდა დაუკითხავად ფეხსაც არ გადადგამდა... ჩვენი სამღვდლოებისათვის დიდათ საჭიროა ხალხთან დაახლოება, ყოველი მისი სულის კვეთების ცოდნა; გასაჭირში მისი ნუგეში, ხოლო მხიარულების დროს გონიერი დარიგების მიცემა.

მაგრამ ამ დაახლოებაში მოძღვარი თვითონ კი არ უნდა ეზიდებოდეს, ბაძავდეს ხალხის ზოგ არა მოსაწონ ზნე-ჩვეულებას, არამედ თვითონ უნდა იზიდავდეს მას თავისკენ კეთილი მაგალითით და გონიერი დარიგებით. მოძღვარი სანთელივით უნდა ანათებდეს მრევლში, მასში ვერავეთარ ცუდს ვერ უნდა ჰპოვებდეს ხალხი, მისგან უნდა ისმენდეს მამაშვილურ დარიგებას. მაშინ იგი შეუწყარდება ხალხს, მაშინ იგი გადაიქცევა ისეთ პიროვნებად, რომლის დაუკითხავად ფეხსაც არ გადაადგამს ერი და რომლის შეურაცხყოფისათვის იბრძოლებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. საუბედუროდ ჩვენდა ასეთს მოძღვრებს ვერ ვხედავთ დღეს, მაგრამ, იმედია სამღვდლოება შეძლების და გვარად მომავალში მაინც გაისწორებს შემწეულ ნაკლულევენებას.

შეხედებით ისეთ მოძღვრებსაც, რომელნიც თავის უყოფაქცეობათ და უკადრისი საქციელით ჩირქსა სცხებენ მთელს წოდებას და ამდაბლებენ მოძღვრის ავტორიტეტს ერის თვალში. ასეთნი მღვდელნი რომ გაასწოროს თვითონ ადგილობრივმა სასულიერო მთავრო-



ბამ ძლიერ კარგი იქნება, როგორც სამღვდლოებისათვის ისე ეკლესიისათვის. მსჯავრი პირდაპირი და მიუდგომელი, აი საშველები გამრუდებულის გასწორებისა!

უკანასკნელს წლებში მომხდარნი დიდნი შემთხვევანი გვაძლევენ გაცვეთილს ერთსულოვნებით მოქმედებისას მამულისა და ერის მსახურების საქმეში. ცალ-ცალკე დაფანტვა დიდი შემცდარობა და უაზრობაა. ქართველი ერის ყოველი წოდება და კლასი უნდა შეჯგუფდენ ერთად, ერთსულოვნებით უნდა შეებრძოლონ დამაზავებელ ძალებს. საჭიროა ურთიერთისადმი ღრმა სიყვარულით შეკავშირებული ერთობა, რომელზედაც მივიდეთ ჩემს თანამემამულეთ. უთანხმოება და სიძულვილი ერთი მეორისადმი რაც არ დააბრკოლებს, ვერაფერს სიკეთეს ვერ მოუტანს მას.

აი უკანასკნელი! მე ვაპირებ  
1909 წ. 20 თებერვალი.  
ივერიელი.  
უფრო ახლა მოვიყოლოთ ვინაა

ი რ ო ღ ი ა დ ა .

გ უ ს ტ ა ვ ფ ლ ო ბ ე რ ი ს ა  
თარგმანი ფრანგულიდან.

(გავრძელება. \*)

II.

კატეღა, ფინესი, მისი თარგმანი, და სიხუნა, მესვერეთა უფროსი, რომელთაც წინ მიუძღვრათ სანაჟიფიანის საჭურისი გულმოდგინეთ ათვლიერებდენ ყველა სადგომებს. უცნაურათ გამოიყურებოდენ ხელი კუთხეებიდან ყველა ეს ბარბაროსთაგან მოგონილი სამაგელი ნივთები: ჯაჭვები, მოშაშული შუბები, მარწუხები, რომლებიც გველეშაპთა ღრანტებს წააგვადენ. ტეტრარქს იმდენი ანალი ეწეო მაქერუხში, რომ სკამო იყო ორმოცა ათასი კარის შესაიარადლებათ. ეს თავდარიგი დაიგაჟა მან მტერთა სასიფათო შეთქმულების წინააღმდეგ, მაგრამ კონსულის მოადგილეს შეეძლო არა თუ უფრო, თქმაც კი იმისა, რომ

\*) იხ. „ზინ.“ საქ. № 18.

ყველა ეს სამხადისი რომელთა საწინააღმდეგოთ იყო და ტეტრარქი სცდილობდა თავის მართლებას, ბოდიშის მოხდას. ყველა ეს ანალი მის კუთვნილებას არ შეადგენდა.—ზოგი უჩინდო საწინააღმდეგოთ იყო დანიშნული. გარდა ამისა საჭირო იყო არაბებთან ბრძოლა. ზოგი მამისეული იყო. ტეტრარქი, იმის ნაცვლათ რომ სტუმრებს უკან მიელოდა, ჩქარი ნაბიჯით წინ მიიღებდა. იგი უცნაურ შეჩერდა ერთ ადგილას, გაშალა ტოვის კაღები და აეფარა კედელს. მაგრამ კარის ზედათა ნაწილი ცხდათ მოჩანდა მის თავს ზემო. ვიტეღამ შეამჩნია ეს შესავალი და მოინდომა გაეგება იმისა, თუ რა იმალეობდა იქ. მსოფლად ბაბილონელს შეეძლო მისი გაღება.

—დამიასეთ ბაბილონელ ! წამოიძახა ვიტეღამ.

მას მოუწადეს.

მამა ამ ბაბილონელის ხუთსაი ცხენოსანით გახდა ეფრატის ნაპირებიდან ჰეროდე დიდს და აღუთქვა მას დაცვა აღმოსავლეთის საზღვრების. სიმეფრეს დაუფრის შემდეგ იმისი ფილიპისთან დაჩნა, ესლა კი ანტიპას ემსახურებოდა.

როცა იყო, იგი გამოჩნდა, მხარზე შეიღდა ხამოკიდებული და საბელით ხელში. მის დაჯდარკულ წვივებს მჭიდროთ შემოხვეოდა სხვა და სხვა ფერის თასები. ქლამიდა ძლივს იფარებდა მის მსხვილ მკლავებს. ტუჯის ქუდი მავათ აწიდილებდა მის მოღუშულ სახეს და ხუტუტა წვივს.

მან ჯერ თავი მოაკეტუნა, თითქოს თარგმანის კერა გაეგო რა, მაგრამ როცა ვიტეღამ რიგინათ შეუყურთხა, ანტიპას, ბაბილონელმა სწრაფლად აასრულა მისი ბრძანება. იგი, რაც ძალი ღა ღონე ჰქონდა, მიაწვა კარს, კარმა გვერდი ჰქნა და კედელში შევიდა.

თბილმა ჰეროდემ დაბერა წყვილიადიგან. განიერი გვირბი, ჭანჩაყავით ეშუებოდა ძირს და ივარგებოდა სიღრმეში. ყველანი მიჰყურენ ამ გვირბს და მადლწიეს ერთ გამოქვამულს, ყველაზე უფრო განიერს მთელ მიწურში. გამოქვამულის იქით მხარეს შავათ გამოიყურებოდა ქვის თალი იმ უფსკრულის ნაპირზე რომელიც ამ მხრით იხიეს კერა და იტარა.

გარკულ სიბრძნისა შეეპოობდა თალი და მისი უკავილოვანი თავთავი ნახათ ქანობდა

დღის სინათლეზე, ძირს, გამოქვაბულში, ბუტბუტებდა ვიწრო ნაკადული მთის წყაროისა.

საიღვე თეთრი ცხენი ემწყვდია აქა. იგინი ტუბლათ უხრამუნებდენ ბაგაში ქერის; თაფარი ლურჯათ ჭქონდათ შედებლია; ჩლიქებსე მოწნული თოფრები გცვათ. იგინი თავანთ გრძელ კუდებს წამ და უწუმ აწნებდენ და ძუას მხაფა-მხუფი გაჭქონდა მათ ეწნებზე. განცვიფრებამ გააძემა პრკონსული.

საუცხოო რამ ცხველები იყვენ: მოქნილი, როგორც გველი, და მსუბუქი ვით ფრინველი. მათი ჭენება, ისარსე უფრო სწრაფი, თვეს ქვეშ თელავდა მტრის ჯარს, მსედართან ერთად იგინი იბრძოდენ, ვით ლომები, პბალებით გლეჯდენ მტრის სოცის, ელვასავით თავს ევლებოდენ ქვა და კლდეს, უფსერულსა და ნაპრალეს—მინდვრათ კი მიჭქრდენ, ვით ცოფიანნი, დილადან ბინდამდე დაუღალვანი, მოუსვენარნი. საკმაო იყო სიტუვა, ერთი შეძახილი რომ წუთს შემდგარევენ, ვით გაჭვავებულნი. შევიდა აუ არა აასიმე გამოქვაბულში, იგინი ცხვრებივით გარს შემოესვიენ და გისერ დაგრძელებულნი უცქერდენ მას თავანთ უმანგო თვლებით. მან ჩვეულებრივით ველური ხმით დასჭვივლა მათ, იგინი განაღდისდენ და უღუზე დგომა და ხტუნვა დაიწყეს. ხლომა ჭენობისა, თავისუფლებისა აღებრა მათ. ანტიამა განკებ დამლა იგინი აქ, რადგან შიშობდა, ვაი თუ პრკონსულმა მოასეროს და წარეკოსო.

—ცუდი თავლა აგირჩევია—სთქვა პრკონსულმა—არ გეშინია, რომ დაგებოცონ? სიზენა, გადთვალე იგინი!

შეზვერემ გაბძრო სარტყელიდან ხის პატრას დაფა, დაითვალა ცხენება და ჩინიშნა. ხარკის ამკრეფი დაწესებულებანი დაქრთამადენ ხოლმე წინამძღოლს, ანუ გამყოლს, რომ უფრო თავისუფლათ ეპარცვით მთელი მხარეები.

აი ეს მელური სახისა და მუდმივ თვალ-პატუნა სიზენა უკლვან და უკლავთრის მიმკვლევი იყო.

ბოლოს უკლვანი ცისას წინა ეზოში დაბრუნდენ. ბრინჯაოს ფიცრები, რომელნიც საწელე ორბოებს ეყარა, ოქროსავით ბრჭყვიალებდენ მხის სხავებზე. ვიტყვიმ შეამჩნია ერთი ამ ფიცართაგანი, რომელიც არა ჩვეულებრივი განავრო იყო და

თვეს ქვეშ ერთ ანობდა. მან სათითაოდ დაუკაგუნა შველას, უეცრივ შესტა, შეკვინტრიმდა და აღტაცებულმა წამოიძახა:

—ვიპოვე, ვიპოვე! აი სად მარხია ჭეროდეს საუნჯე!

აღმოჩენა ჭეროდეს განძეულებისა ტრინს სწოვდა, მოსკუნებას არ აძლევდა თვითუღო რომეღეს.

ტეტრანქმა იფიცა, იმტვირა, რომ აქ არაჟი. თარი საუნჯე არაჟო.

—მაშ რა არის აქა?

—არაფერი... გაცია ვინმე... პურობილი.

—მაჩვენეთ იგი—წამოიძახა ვიტელი.

ტეტრანქი არ სთანსმდებოდა. იუდეველნი გაიგებდენ საიდუმლეს. აშვარა უარმა გაპრახა ვიტელი.

—ჩამტვრიეთ იგი—დაუყვირა მან თავისს მხლებლებს.

მანხა მისვდა რაშიდაც იყო სქმე. დაინხა რა ცული, მან გაიფიქრა, უთუოდ იაკანამს უპრობენ სიკვდილსო. ცულის პირველ დაკვრისათხავე დაუფარა რკინის კეტა და რის ვაი ვაცლანით ფრთხილათ ახდა სახურავი. მოსურის ღრემ უკლავა გააციფიფრა. ბრინჯაოს სახურავის ქვეშ სხვა სახურავი გამოჩნდა. მუშტის დარტყმით მანამ ორ ნაწილათ გახსნა ეს ახალი სახურავი. გამოჩნდა თხრილი, შავი, ღრმა ორმო, რომელშიაც ჩავიდუბული იყო რგვადი, ვიწრო კაბე. აქ ძირს, სიღრმეში, ორმოს ფსკერზე მოსჩინდა რაღაც გაურკვეველი და საშიშარი.

ეს—ადამანი იწვა ტიტულ მიწაზე. მისი გრძელი თმა და მხედის ბანალი, რომლის ტუპიც მას ტანთ ეცვა, ერთი ერთმანეთს ჩასწნდა, ჩახლართოდა. იგი წამოდგა, მისი შუბლი ოდნავ შეესო რკინის ბადეს, რომელიც მკერათ იყო ჩასმული ორმოს არდა-გარდა. ხან და ხან იგი მოცილდებოდა ხოლმე ორმოს და წყვდიადში ავარებოდა.

კვირკვიების წვეტიანი წვეროები და ხმლების ღითონის ტარები სხვა და სხვა თურათ ბხინავდენ მხის გულზე; მანანქება სიღრმე კვდიათ გაასურა ჭვით ფენილი ცისის ეზოისა, სახურავიბადან მოწვევტილი მტრელები უცხო უკლავდ და ჩავარდობდენ ცის სიკრცში. ეს სწორათ ის დრო

იყო, როდესაც მანხა საკენს აძლედა სოღმე მათ. იგი ტიტარტის წინ ჩაყდა, ანტოპა გი რიტელის ახლო იდგა გაუნძრეკლათ. გაღაღეკენი, ხუტისნი, ჟარის გარნი უკან ჩამოდგენ და უფრედენ. გაისმა ღრმა ოხვრა, რომელიც მხეცის ბრდღეინკას უფრო ჰგავდა, ვიდრე გაცის ხმას.

სასახლის მეორე მხარეს, იროდადას უურამდრე მიადწია ამ ოხვრამ. მან კელარ გაუძლო ლტოლვილებას, გააძრა მთელი ეს ბრბო და მანხანას მისარზე დაურდნობილი თავდახრით უსმენდა ამ ხმას:

ხმა განმეორდა:

— „გაი თქვენდა, ფარისეველიო და სადუგეკენო, ნაშობნო გეკელისანო, გუდანო გაბერილნო.“

უველამ იცნო იოაკანამი... უველა იმეორებდა მის სახელს. ხალხი თან და ოან ემატებოდა ამ აღაგს.

— „გაი შენდა, ხალხო, გაი თქვენდა, იუდეველიო გამცემნო, ლოთრო ეფრანიძელნო, გაი თქვენდა, გაი თქვენდა, მცნოვრებნო ნოყიერ ჭალისანო, თქვენდა, ფერხნი რომელთა სიმთვრალისაგან ბოძმივობენს!“

— „გაჭქვენ იგინი, ვით ცვარი ციური, ვით მატლა მდილავი, ვით უდღეო ქალისა, რომელსაც არ ეღარსება სხივი მზისა!“

— ჭოი, მოაბა, იმაღებოდე შენ შტოთა შინა გუშაროზისათა, ვით უჯგი, ბნელსა შინა გამოქვაბულისა, ვით ფოცხეკრი. როგორც ნაჭუჭი ნიკეზისა, დამსობიან ბჭენი, კედელნი ციხეთა და დადაიწინიან ქალაქნი. უზენაესი არ მოგიშლის ტანჯვასა. შენსავე სასხლში მოსვრის იგი შეილთა შენთა, ვით მატელისა მღებარი. დაგნაყთ იგი, ვით მარცვალსა როდისში; ვით ფარცხი ჰგლეჯის გუფსა მიწისასა, ეგრეთ დაგლეჯს იგი შენ; მათთა და ბართა განახნეკს იგი ნაფლეთთა სორცისა შენისასა!“

რომელ დამპყრობზე ღაშარაკობს იგი? — ჭკითხულობენ აქა იქ. — ვიტელი ხომ არა? მხოლოდ რომელთა შეუძლიათ ასეთი საშინელება! უკედრება და გენესა გაისმა უოველი მხრით.

— ეძარა, ეძარა, უბრძანე გაჩუმდეს!

ხალხი იოაკანამი განაგრძობდა უფრო ხმა მადლს:

— მოხეველნი დედის მძროთა ზედა, უსუსურნი იწეებენ სოხვას ცხელ ნაცრში! დამე, მამისა და ძმწოლისა ქვეშ, ადამიანნი იწეებენ ძებნას ჰურის ფინხხათა ნანგრევთა შორის. ქალაქთა მოედნებზე, იქ, სადაც ოდესმე ბასობდენ უხუტისნი, ყოარხნი შეუცილებიან ერთ-ერთთა ძვალთა ზედა მიწვალეულთასა. ქალწულნი უბაწონი შეაჭკეკენ მონადიმე მტერთა შენთა და უუმამცრესნი შეიღნი შენნი, ჭოი, მოაბა, მოახრან ქედსა უდელისა ქვეშე აუტანელსა“

შეგუფუფული ხალხა უხმით ისრენდა ამ წუგკა გრუფვას და მის გონების წინ ნათლათ წარმოესდგენ დღენი დეენისა, უბედურებისა და მთელი საზარელი წარსული მისი. სწორეთ ასეთი ცეცხლის მფრქვევი იყვენ სიტყვანი ძველ წინასწარმეტყველთა. იოაკანამი ერთი მეორეზე გზავნიდა შეჩვენებას, ხანდაძმით, ვით შეუბრალეული მტრის ხმალი ჭრილობას.

უცრთე მისი ხმა მოტუნდა, მორბილდა, გატბილხმოვანდა. იგი ქადაგებდა მომაკლ განთავისუფლებას, სასუფეველს სიძარტლისას, მოწყალებისა და ვითიდღეობისას. ცანი გარდუჯალ შექვით გამრწვინდებთან, ნიანგის გამოქვაბულში იშვება ურმა, ოქრო თინის აღაგს დატკერს, უღახნო უშეტეს ვარდისა გასდიფურჩქნება. დირბული საძოვ გიქასით, ერთი ობოლა და დაფასდება. კლდენი რძეთა ნაკადულს გადმოადვენ; ადამიანნი, მადლარნი და ემყოფილნი, კენახის ჩრდილში განისვენებენ.

— როდის და მოხვალ, შენ, რომელსაც გელის სული ჩემი! აჭა, უგვე უოველი ტომი მუხლმოდრეკილა შენს წინაშე და სასუფეველსა შენსა არა აქის დასასრული, ჭოი, ძეო დაჯითისაო!“

ა. მაქსიმოვი.

(შემდეგი იქნება).



**ვანი ჩვენი ბრალი!**

სურათები ქართველ სამღვდელთა ცხოვრებიდან.

(დასასრული \*).



**XXIX.**

სოფელ X-ში ააშენეს ახალი ეკლესია. ბლალაჩინმა მითხრა, ეს ეკლესია ჩემი ინიციტივითა და შრომით არის აშენებულიო. მღვდელმა, მითხრა ამ ეკლესიის აშენებაზე ბევრი შრომა მაქვს დადებულიო. მედავითნემ მითხრა, ამ ეკლესიის აშენებისთვის ბევრი ვიშრომეო. სტაროსტამ მითხრა, ამ ეკლესიის აშენებაში ბევრი წვალეა გამოვიარეო. მხოლოდ მღვდელმთავარი არ მინახავს, რომ მეკითხა მისთვის, იმანაც გასწია თუ არა დიდი შრომა ამ ეკლესიის აშენებისთვის.

**XXX.**

ერთ სოფლის ეკლესიაში მობრძანდა ქალაქელი მღვდელი, რომელიც ეპარქიის მართვა-გამგეობასთან დაახლოვებული იყო. ის ყოველთვის ეკლესიაში უმფროსის თვალით ათვალეობდა და მღვდელს შენიშვნას აძლევდა, აი ოდიკი ძლიერ დაძველებული არის, აღსავლის კირებზე და ხატებზე მტვერიაო, საეკლესიო წიგნები ძლიერ დაძველებულ-დაცვეთილიაო, წირვა-ლოცვა წესიერად არ სრულდებაო, საეკლესიო ქონების აღწერილობა წესისამებრ არ არისო და სხვა. ქალაქში ყოფნის დროს ამ მამის ეკლესიაში შეველი და იქ დავინახე ყველა ის ნაკლულეფანები, რომლებსათვისაც იგი საწყალ სოფლის მღვდელს ამხილებდა.


**XXXI.**

ერთმა სასულიერო პირმა უმაღლესი თანამდებობა მიიღო. მღვდლები მას ეუბნებოდნენ: შენ მოვალე ხარ აღიმაღლო ხმა და მთავრობას ამხილო მისი შეცდომანი, აუწყო მას ჩვენი საჭიროებანი და გაბედულად მოსთხოვო მათი დაკმაყოფილება; არასფერს არ უნდა შეუშინდე, სიპართლისათვის და საზოგადო საქმისთვის თავი უნდა შესწიროვო. ის სასული-

\*) იხ. ზინ. საქ. № 18.

ერო პირი კი ამბობდა: ეს დალოცვილები ისეთს რამეს მავალბენ, რომლის ასრულება მარტო მე არასგზით არ შემიძლია. იმას კი არ მეუბნებიან ჩვენც ხმას მოგცემთ, უკან გამოგყვებითო, არა, შენ უნდა ჰქმნა ყოველივეო. ვითომდა ისეთი ძლიერი ვინმე ვიყო, რომ მთავრობის მოპირდაპირე ძალას წარმოვადგენდე და მას არ შეეძლოს ჩემი მოსპობა. ეს ჩემი თანამოძმენი იმას კი არ სცდილობენ, რომ ადგილზე დაემდგრდენ, რათა მათ ცოცხალი მაინც ვარგო, კი არ მაფრთხილებენ, არამედ ხრამში მაგდებენ; და ჩემი დამხობა საზოგადოებას რა სარგებლობას მოუტანს? მე არ ვიქნები ამ ადგილზე, სხვა იქნება. შორს გამეპქრეტელნი არიან ეს უბედურები!

№



**ღვთის სასუფიველი.**

„მოვედინ სუფივა შენი“!

ადამიანის გონება ჩვეულებრივ ხშირად არის საფე ბევრი ცრუ წარმოდგენებით; ისეთი წარმოდგენებით, რომელნიც სინამდვილეს არ შეესაბამებიან, არ გამოხატვენ სინამდვილეს, წარმოდგენენ მხოლოდ ჩვენ ოცნებაში მოკონებულ სახეს, შეადგენენ მხოლოდ ქიმიერას, კერძს, როგორც უწოდებს იმათ ინგლისის ცნობილი ფილოსოფოსი ბეკონი. ერთი ასეთი კერძთაგანი, რომელსაც, როგორც ტიტანს, შეუძლია გადააცდინოს ქეშმარიტების მაძიებელი ნამდვილი გზიდან, არის ის, რომ ადამიანთა უფროსს ნაწილს შემცდარ რწმენათ აქვს გადაქცეული, რომ, ვითომც მათ ნამდვილად იციან თვითოვეული საგნები, მაშინ, როდესაც ისინი არც კი იცნობენ იმათ სერობულად. ასეთი პირები ფიქრობენ, რომ ცხადათ ცნობილობენ საგნების მნიშვნელობას, რადგანაც აქვთ ნიშნები, რომელნიც გონიათ იმათი მნიშვნელობის აღმნიშვნელი. ეს ნიშნები არიან იმათი სახელები-სიტყვები, რომელთაც ეცნობით უფრო აღრე, ვინემ თვით საგნების ბუნებას, და რომელთა შემწეობათ ადამიანები

გადასცემენ ერთმანეთს თავის წარმოდგენას, საგნებზე, ბავშობიდან შეჩვეულნი საგნების მაგიერ სიტყვების ხმარებას. რომლებითაც ვუზიარებთ ერთმანეთს ჩვენ აზრს, ხშირად ვკაცოფილდებით მხოლოდ საგნების ნიშნებით, ვჯერდებით სიტყვებს, არ ვუფიქრდებით ჯეროდნად იმათ მნიშვნელობას და არ ვიძლევიტ საკითხს, შეესაბამება თუ არა ჩვენი აზრი საგანზე თვით საგნის ბუნებას. ნამდვილად კი სიტყვა გვეუბნება იმას კი არა, თუ რა არის საგანი, არამედ იმას, თუ რას ნიშნავს ის ჩვენთვის და რა წარმოდგენა გვაქვს ჩვენ იმაზე; და თუ ჩვენი წარმოდგენა საგანზე არ არის ნათელი, ცხადი, მაშინ იმის განმსაზღვრელი ნიშანიც არ არის სწორი, სიტყვებიც არ არის მართალი.

ასეთი სამწუხარო მოვლენის დამამტკიცებელი არის ის ჩვეულებრივი ფართოდ გავრცელებული, გაუტყვეველი და ხანდახან კიდევ გადასხვაფერებული გაგება იმისა, თუ რას ნიშნავს სახარების სიტყვები: „ღვთის სასუფეველი“. ეს სიტყვები თვითღვთის ქრისტიანისთვის ბავშობიდან ნაცნობია. ჯერ კიდევ კითხვის სწავლამდე უფროსის სიტყვებიდან უფლის ლოცვაში ვიმეორებთ თხოვნას „მოგვიღონ სუფევა შენი.“ მერმე ღვთის სასუფეველზე მუდამ გვესმის ეკლესიაში, ვკითხულობთ სახლში, ვსწავლულობთ სკოლაში. სახარებაში ისე ხშირად და დაწვრილებით არაფერზე არ არის საუბარი, როგორც ღვთის სასუფეველზე, სასუფეველი ღვთისა ქრისტეს სწავლის ძირითადი აზრია, აზრი, რომელიც სახარების ყოველ გვერდის გადაშლაზე უფრო იზრდება და იხსნება. სახარების მოთხრობაში არ არის მაცხოვრის მოქმედებაზე ისეთი სიტყვა, რომელიც არ ეხებოდეს ქრისტეს სასუფეველს. თუ ქრისტე ქადაგებს, მხოლოდ იმისთვის, რომ ახაროს ღვთის სასუფეველზე და აუხსნას მისი მნიშვნელობა. მთაზე სწავლების დროს წარმოსთქვა ამ სასუფეველის კანონები, იგავებში ტბის ნაპირებზე ის მაგალითებით ურკვევდა ხალხს ღვთის სასუფეველის საიდუმლოებას, იმის დასაწყისს, განვითარებას, ბრძოლას და გამარჯვებას თავის ლოცვაში და აგრეთვე მისგან მო-

ცემულ ლოცვაშიაც თხოულობს იმის მოსვლას; მოციქულების არჩევით ქრისტეს სურდა მის მიერ დაფუძნებულ სასუფეველის გაგრძელება მის შემდეგ და იმის მთელ კაცობრიობაში გავრცელების უზრუნველყოფა. თუ ფერი იცვალა რამდენიმე მოწაუეების წინ, ეს იმიტომ რომ დაენახებია იმათთვის, თუ რად ვახდება კაცის არსება ამ სასუფეველში; თავის აღდგომით იმან დამამტკიცა, რომ ვერც ჯოჯოხეთის ძალებს, ვერც ძალმომრეობის ეშმაკურ შურს, და ვერც გაცოფებული ფარისევლების მტრობას ვერ ძალუძთ ამ სასუფეველის შემუსვრა. ერთი სიტყვით ღვთის სასუფეველის შემეცნებაში არის ქრისტე მაცხოვრის მთელი სწავლა, მთელი ცხოვრების მოწყობა, ის შეადგენს იმის ღიღებას, იმის დედამიწაზე მოსვლის აზრსა და მის ღვთაებრივ გონებას. ამიტომ სალი გონების აღამიანებისთვის შეუძლებელი საქმეა ქრისტიანი იყოს, სახარებაზე ავტორიტეტულად მსჯელობის უფლებას ჩემულობდეს და არ შეეძლოს ნათლად და გარკვეულად განმარტება იმისა, თუ რა არის სასუფეველი ღვთისა. ეს იმას ემსგავსება, რომ თავის თავს ფილოსოფიის მკოდნედ სთვლიდე და პლატონზე, არისტოტელზე, კანტსა და გეგელზე წარმოდგენაც კი არ გქონდეს. მიუხედავთ ამისა, სახარების კრძალვით პატივისცემლების და იმის კრიტიკულად გამჩვევლების უმრავლესობას ძლიერ ბუნდოვანი და შემეცდარი წარმოდგენა აქვს ღვთის სასუფეველზე.

დავიწყეთ იქიდან, რომ სახარებაში ნახსენები სასუფეველი ღვთისა უფრო ხშირად ესმით, როგორც მართალთა საიქიო ნეტარი ცხოვრება, ესე იგი ღვთის სასუფეველი და სასუფეველი ცათა ერთი და იგივე გონიათ, რის გამო უსაყვედურებენ ქრისტიანობას ქვეყნიური სიკეთის უაზრო ათვალწუნებას და არაფრად ჩაგდებას, აღამიანთა სხეულში ჩანერგილ მოთხოვნილებათა ნაძალადევად ჩაქრობას და ცხოვრებისთვის ნათელი და მხიარული ფერის მოკლებას. „სახარება მოაწმუნის თვალს მიაპყრობს მხოლოდ ზეცისადმი, — ამბობენ ამ შემთხვევაში, — მას ავიწყდება, რომ აღამიანი შექმნილია მიწისაგან და თვით თავის სხეულით

მიჯაქვეულია მატერიაზე, რასაც არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ. ფრინველები, რომლებიც სახარებაში არიან ნახსენები, ისინიც კი აკეთებენ ბუდეებს და ზრუნავენ თავის ბარტყეებზე. განა შეგვიძლია ჩვენ, რომელნიც ბევრად მეტი მოთხოვნილებანი გვაქვს, ვინემ ფრინველებს, მთლად გულგრილად მოვექცეთ სხეულის უსაქიროეს მოთხოვნილებებს? ასეთ მოთხოვნის დაქანება არ ნიშნავს ბუნების წინააღმდეგ წასვლას და გადაჭარბებული ზნეობრივი სისასტიკის შეუძლებელს მოთხოვნას? ჩვენ გვათბობს ბრწყინვალე მზე, გვიალერსებს ველთა სურნელოვანება, გვზიბლავს ვარსკვლავთა კაშკაში, გულს გვიტაკებს ბუღბუღლის სტევენა. ნუ თუ დანაშაულობაა ბუნების სიკეთესთან აღტაცება, სამყაროს სიკეთით დატკობა? მაშ, რისთვისაა ყველა ეს შექმნილი, მაშ, რისთვის გვაქვს ჩვენ ჩანერგილი ცნობილი ინსტიქტება?“ ყველა ამ დასმულ საკითხთა გძელ რიგზე უნდა მიუგოთ ერთი: ყველა ეს სარწმუნო საბუთები სცემენ სივრცეში, არა სახარებაში, არამედ ცალიერ სივრცეში.

პირველად ყოვლისა, სახარებაში ნათლად გარჩეულია ერთმანეთისგან შემეცნება საიქაო ცხოვრებას და ღვთის ანუ ზეციურ სასუფეველზე. ქრისტეს სიტყვებში მართლთა საიქაო ბედის შესახებ ასე ვკითხულობთ: „მაშინ სთქვას მეფემან მარჯვენითა მისთა; მოვედით კურთხეულნი მამისა ჩემისანი! და დაიკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისა“ (მათ. 25. თ. 34 მ). გამოსათხოვებელ სიტყვაში საიდუმლო სერობაზე მომავალ განშორების წინ ქრისტემ დაამშვიდა თავის მოწაფეები და უთხრა: „ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი; სახლსა მამისა ჩემისასა საიქაო მრავალ არიან; გარქუმეს თქვენ, ვითარმედ მე წარვიდე და განგიმზადო თქვენ იდგილი. (იოან. 14 თ. — 1—4 მ.)

ორივე შემთხვევაში ერთნაირად ნათლად ნაჩვენები, რომ „სასუფეველი ცათა“ და ღმერთის სასუფეველი, ისე, როგორც გვემის ჩვენ, გამზადებულია, შესრულებული ფაქტია. ღვთის სასუფეველი კი, რომელზედაც არის

ნათქვამი იგავებში, უფლის ლოცვაში რომელიც აღნიშნულია იდამიანის მოქმედების საბოლოო მიზანში, ის სრულიად ჯერ კიდევ არ დამყარებულა, ის უფრო შორეული მომავლის საქმეა. ქრისტეს მიერ დედაშიწაზე დაფუძნებული სასუფეველი კიდევ საჭიროებს მოწყობას, ის შემდეგში უნდა მოვიდეს. ჩვენ ვთხოვლობთ: „მოვედინ სუფევა შენი“. ჩვენ არ ვამბობთ: „შექმნილ იქმნეს ან შეიქმნეს სასუფეველი შენი“, არამედ „მოვედინ“, მიტომ რომ იმას დასაბამი დადებული აქვს, მაგრამ იმას ჯერ კიდევ არ მოუკვია მთელი კაცობრიობა, არ დაუპყრივართ ჩვენ. ჯერ კიდევ ცას არ გაუწმენდია დედა მიწა, ღმერთი არ დამყარებულა საესებით ადამიანში. ეს სასუფეველი მაშინ დადგება, როდესაც ჩვენი მსოფლ-შეხედულება გაიმსქვალება სახარების სულით, როდესაც მთელი ჩვენი ცხოვრების მოწყობილობა შეეფარდება ღვთიური სიბრძნის მოთხოვნილებებს, როდესაც ჩვენი ურთიერთობა ისუნთქავს ქრისტეს წმინდა სიყვარულით. ის დადგება იმათთვის, ვისაც ჩაგრავს შემადონებელი თავის სისაძაგლით სინამდვილე, ვინც მოელის ქვეშარტების და კეთილის აყვავებას, ვისაც შია და სწყურია სიბრძნისათვის და უნდა სძლიოს სიავეს. გაიმსქვალება თუ არა ამ ლტოლვილებით საზოგადოება, მთელი ხალხი, ან მთელი კაცობრიობა, მაშინ სასუფეველი ღვთისა დადგება ამა თუ იმ წრისათვის ნაცისა თუ მთელი კაცობრიობისათვის; თუ გაიმსქვალება იმით ცალკე პირები, მაშინ ღვთის სასუფეველი იმათთვის დადგება. იმათთვის კი, ვინც ბედნიერი და კმაყოფილია დედაშიწაზე გამეფებული სუსტთა უუფლებობის წყვილით, ვინც ყველაფერზე მალა აყენებს თავის თავმოყვარეობას და თავის ენებებს, ვინც დასცინის და ვისაც არ ესმის მისწრაფება უსაზღვროსადმი, — ყველა ამათანებისთვის ღვთის სასუფეველი გაუგებარია და მიუწოდებელიც. ღვთის სასუფეველი არის პიროვნებათა, ძალთა და მოვლენათა ორგანიზაციის ისტორიაში განხორციელება, რომელშიდაც სუფევს ღმერთი და უფლებს მთლად იმის წმინდა გონიერი ნება, ანუ, სხვა სიტყვებით, უფრო მარტივად რომ ვსთქვათ, ღვთის სასუფეველი არის მართალი და ზნეობრივად სრული ცხოვრება ადამიანთა დედაშიწაზე, რომელიც დანერგა ქრისტემ და რომელიც უნდა მოეწყოს თანახმად სახარების აღთქმისა, ასეთი სასუფეველის გამარჯვება მდგომარეობს ადამიანის გულში სიკეთის ბოროტებაზე სრულ გამარჯვებაში.

საქადაგებლად გამოსვლის დროს იესო ქრისტემ გადაავლო გონების თვალი სამყაროს ცხოვრებას, დააფასა ის ზნეობრივი მხრით და საზოგადო შთაბეჭდილება ასე გამოხატა: „ყოველი სოფელი ბოროტებასა შინა სდგას“. (პირ. ეპ. იოან. 5 თ. 20 მ). ეს ბოროტება, რომელიც იხატება საყოველთაო ბოროტებაში, სუსტა უფუფლებობასა და მდიდართა თავხედურ გარყვნილებაში, ბრბოს პირუტყვივით დაბნეულობასა და თავმოყვარეობის დაბალ ვნებათა აღვირახსნილობაში. წარმოადგენდა საერთო მოვლენას, და ქვეყნის მპყრობელ კანონს. მაცხოვრის ძირითად საქმედ შეიქნა ამ ბოროტების სამეფოსთან ბრძოლა, იმის დამხობა და იმის ადგილზე ღვთის სასუფეველის დაფუძნება. დადგა დრო ადამიანისადმი ღვთის მიერ მოცემული პირველი აღთქმის შესრულებისა (შექმნ. 3 თ. 15 მ.)

ადამიანებო, რომელნიც კვენსავთ უსამართლობის და უკანონობის სიმძიმის ქვეშ, — თითქო ასე ეუბნება ქვეყნის ქრისტე, — ის ცხოვრება, რომელიც შექმენით თქვენ, ვერ მოგანიჭებს თქვენ საძიებელს და შესაძლებელ ბედნიერებას. ბოროტება მხოლოდ ბოროტებას წარმოშობს; ქვეშარიტი ბედნიერება, უმღლესი სიკეთე კი არის კეთილი, რომელიც წარმოიშობა მხოლოდ სიყვარულისა და კეთილისაგან. თუ გნებავთ მოიპოვოთ ის, თუ გიმძიმთ ქვეყანაზე გამეფებული სიავისაგან დაჩაგვრა, მოდით და ისწავეთ ჩემგან. ჩემი სიტყვა მაკურნებელ ბალზამს გადააველებს თქვენს ტანჯულ და წყლულს გულს. მე გასწავლი გზას, რომელიც თქვენ გულს მშვიდობას მიანიჭებს. მთლად დამორჩილდით ჩემ მოძღვრებას, იარეთ იმ გზით, რომელიც მე გაგიკაფე, ხტარეთ ჩემი უღელლი და ნახავთ, რომ ჩემი უღელლი კეთილია და ტვირთი ჩემი მსუბუქი. ჩემი მოსვლისათანავე დიდი ხნის წყევლიადის და სულის მხუთავი ღამის მაგიერ სამყაროში დადგა ნათელი და წყნარი დღის განთიადი. ამდენ ხანს, საზოგადო უსჯულოების დროს, მხოლოდ რამდენიმე რჩეულთა გულში იმალებოდა საუკეთესო შერმისის დიდი იმედი. ეხლა ის უნდა განხორციელდეს. მოახლოვდა ღვთის სასუფეველი,

ის თქვენს ახლოს არის, აი თქვენს იქით, თქვენს გარშემო, მაგრამ საქირია, რომ იმით გაიმსჯელოს. იმით მოიციოს თქვენი გული, რომელიც არის ყოველ მოქმედების წყარო და ადამიანის ცხოვრების ხელმძღვანელი დასაბამი. გასწვინდეთ თქვენს გულში ადგილი ღვთის დასამკვიდრებლად, მიეცით ცხოვრებაში ადგილი ქვეშარიტებას და კეთილს, განთავისუფლდით თქვენში გამეფებული სიკრუსის, ძალმომრეობისა და ეგოისმისგან, „მოინანეთ“.

ე. ჩ.—ძე.

(შემდეგი იქნება.)



**კვირიდან კვირობამდე.**

გაზეთების სიტყვით სინოდში არსებულმა საეკლესიო კომისიამ განიხილა ხარკთა აღრიცხვა საქართველო-ამერეთის სინოდის კონტორისა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამიერ კავკასიაში კონტორის მაგარ თავისუფალ საქმისკომოსო კათედრების დაასესება ზედმეტ ხარჯს არ მოითხოვს. ასე რომ ამ მხრით საქარო არ არის ხარკთა აღრიცხვა სახელმწიფო სათათბიროს წარედგინოს.

სადმელის (რატის მარა) საბლადოჩინო ოლქის ბლადოჩინის მ. ს. ჭელიძისაგან წერილი მიიღო რედაქციაში, რომელშიადაც მ. ს. ჭელიძე იუწყება, რომ ხსენებული საბლადოჩინო ოლქის სამღვდლოება დადის აღტაცებით მიეგება სარწმუნოებრივ განმანათლებელ მშობის დაასესებას და ხუჯროს საწალო ფულიც შემოიტანოს. მ. ს. ჭელიძე ერთი ამ კეთილმზახანაა, რომელსაც საზოგადო ჭირ-ვარამის დაქმნულია უფრო აინტერესებს, კადრე თავის შიდადი, ოჯახური ანგარიშები. ასეთივე უოფილა, როგორც სჩანს წერილიდან, მისი რწმუნებული სამღვდლოებაც, რას შესახებაც არ შეგვიძლია არ გამოვსტკვით ჩვენს უღრმესა სინარულია და დადი ქართული მადლობა.

ყოველ კვირას ბორცოთი თან სდგეს და ჩვენ სტამბის საქმესაც ასე სჭირს, მაგრამ იმედი გვაქვს ბორცოთი ბორცოტად წაწმენდა და იმერეთის სამ-  
 დედუკობას ძალე გაუხსნება თავის საკუთარი საწმენოებრივ განმანათლებელი ძმობის სტამბა.  
 დიდი მადლობის ღირსია ბ. მესტამბე ე. კერესე-  
 ლიძე, რომელსაც ვერაფერმა შეცდომებამა ერთხელ-  
 ზე გადაწვეტილი აზრი შესასებ სტამბის შეწირ-  
 ვისა. ეს გარემოება ავადებს სამდელოებას, მე-  
 ტი თანაგრძნობა გაუწიონ ძმობას.

ამ დღეებში ძმობას მოუვიდა: ყოველად სამ-  
 დედულო ღეონდისაგან ათი მანეთი და არქიმან-  
 დრიტი პიროსისაგან სხვა და სხვა პირთაგან შე-  
 კრებილი ოცდაოთხი მანეთი.

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მგებელიძე**.  
 გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**ვამზადებ შეგირდებს**

ყოველ საშუალო სასწავლებლის ყველა კლა-  
 სებისთვის.

ადრესი იკითხეთ ვაზ. „შინაური საქმეების“  
 რედაქციაში.

**ვექიშობ**

**ტყლიპის გასიების და  
 დამზალ ციებ-ცხელების  
 წინააღმდეგ.**

წამლისა და დარიგების ვაგზავნაც შეი-  
 ძლებს. წამლის ფასი ერთი მანეთი.  
 ადრესი „შინაური საქმეების“ რედაქცია ქ.  
 ქუთაისში.

ქ. ქუთაისში კაზაკოვის ქუჩაზე **სახ. № 17**,  
 გაიხსნა პირველი ქალთა ობოლასიანი

**პროგიმნაზია**

სახელოსნო განყოფილებით,

სადაც სანპროგიმნაზიო საგნებს გარდა ას-  
 წავლიან ჭრა-კერვას, ხალების, ფარდაკე-  
 ბის, ჩულებების, ტილოების და მიტკალე-  
 ბის ქსოვას, ბამბაკების კერვას და სხ.

წლიური გადასახადი პროგიმნაზიაში 30 მან.,

სახელოსნო განყოფილებაში 40 მ.

პროგიმნაზიაზე კლასებში მოსწავლე ქალები კურ-  
 სის დამთავრებისთანვე ათავებენ სახელოსნო განყო-  
 ფილებაში.

სასწავლებელმა უკვე დანიშნო მოწაფეების  
 მიღება როგორც პროგიმნაზიაზე კლას-  
 სებში, ისე სახელოსნო განყოფილება-  
 ში.

**ვამზადებ სამღვდლო და  
 საღიაკვნო საგნებში,**

აგრეთვე სამსწავლებლო ექსამენის ასა-  
 ლებად. ადრესი: ქუთაისი, კაზაკოვის ქუ-  
 ჩა, № 17.

**დაიბეჭდა და ისყიდება**

ახალი წიგნი მღვ. მ. კელენჯერიძისა:  
 თეორია სიტყვიერებისა — მეორე დასრულებული  
 გამოცემა, ფასი 40 კ. აუიდება ქართული ქრესტო-  
 მატია — მისივე I, II, III და IV კლასებში სა-  
 კითხავი წიგნი.

იკითხეთ: ფოთში აკტორთან, ქუთაისში ი. კვიცი-  
 რიძისთან და ვ. ბუკუნაშვილთან, თბილისში წე-  
 რაკიათხელის სასოციალურებაში.